

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



# ბაკალავრული

ივლისი №13

- \* რეგიონალური ფინანსები
- \* დაგეგვარის თეორია და მათემატიკა
- \* დაგეგვარის პრაქტიკა
- \* ფინანსები, ადრინსვა და აუდიტი
- \* მართლმართები საბადასახადო და საბადაო კანონმდებლობაში კონვენტარებით
- \* კითხვა-პასუხები



2018

**უინანსური და  
საპარამეტრიზო  
კონსულტაციის ცენტრი**



**გთავაზობთ:**

გულგრილი და საგადასახადო  
აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას  
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის  
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო  
აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და  
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის  
დამუშავებას





გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი -  
**Publisher: Business Intellect Ltd.**

**UDC (uak) 336.2+336.14(051.2)**  
**g-145**

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ელ. ჟურნალი  
 „გადასახადები -  
 რეგისტრირებულია #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

**Referred and reviewed scientific & practical e.magazine 'Gadasakhadebi-**

მთავარი რედაქტორი:  
 დავით ჯალაღონია,  
 სრული პროფესორი  
**Chief Editor:**  
**David Jalaghonia, Full Professor**

პასუხისმგებელი მდივანი  
 მარინე ხუბუა, ასოცირებული პროფესორი  
**Executive Secretary:**  
**Marine Khubua, Associated Professor**

რედაქტორი: მადონა გელაშვილი  
 ასოცირებული პროფესორი  
**Editor:**  
**Madona Gelashvili, Associated Professor**

ტექნიკური რედაქტორი:  
 ნაზიკო გომელაური  
**Technical Editor: Naziko Gomelauri**

კორექტორი: რუსიკო პაპასკირი  
 ასოცირებული პროფესორი  
**Corrector:**  
**Rusiko Papaskiri, Associated Professor**

მარკეტოლოგ-კონსულტანტი:  
 დევი შონია, ასოცირებული პროფესორი  
**Marketing Consultant:**  
**Devi Shonia, Associated professor**

იურისტ-კონსულტანტი:  
 ელგუჯა კავთარაძე, ასოცირებული პროფესორი  
**Legal Advisor:**  
**Elguja Kavtaradze, Associated Professor**

ელ. ჟურნალი „გადასახადები -  
 რეგისტრირებულია  
 ს.კ. 404941300  
**E. Magazine "GADASAKHADEBI"**  
**(Taxes) is registered**  
**ID code: 404941300**

სარედაქციო კოლეგია  
**EDITORIAL BOARD**

ტავმჯდომარე: პროფესორი დავით ჯალაღონია  
**Chairman: professor David Jalaghonia**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები,  
 პროფესორები:  
**Doctors of Economics, Professors:**

ზაურ ამილახვარი	Zaur Amilakhvari
რეზო გვესიანი	Rezo Gvelesiani
სიმონ გელაშვილი	Simon Gelashvili
ირმა დიხამინჯია	Irma Dikhaminjia
კახაბერ ერაძე	Kakhaber Eradze
შოთა ვეშაპიძე	Shota Veshapidze
ლარისა ტაკალანძე	Larisa Takalandze
ზურაბ ლიპარტია	Zurab Lipartia
იაკობ მესხია	Iakob Meskhia
ვლადიმერ რიონტი	Vladimer Rhlonti
ზაირა რუდუსაური	Zaira Gudushauri
თემურ სენგელია	Temur Shengelia
მიხეილ ცივილაძე	Mikheil Chikviladze
ნოდარ ხადური	Nodar Khaduri
ელენე ხარაბაძე	Elene Kharabadze
რეზო ხარებავა	Rezo Kharebava
ნანული ჯიმციშვილი	Nanuli Dzimceishvili

ანჯელიკა კრუტოვა - ხარკოვი, უკრაინა  
 Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine

კერიმოვი ელ სევერ ნარიმან ოღლი -  
 ბაყო, აზერბაიჯანი  
 Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

მომხმარებელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი -  
 მიმხმარებლის IBAN ანგარიში # GE67TB332136020100005  
 მიმხმარებლის ბანკი: სს 'ტიბისი- ბანკი  
 ბანკის კოდი: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**  
 BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005  
 Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA  
 BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

რედაქციის ავტორის სესაზღვარე მთავრობის ავტორიზაციის საშუალებით და მოწმობის სიზუსტე პასუხისმგებელია ავტორისა.

**Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author**

გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი - / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

**ISSN 1987-9156**



sarCevi / **Table of contents**

arbi traJi / **Arbitration**

Sps `saerTaSoriso arbi traJis~ debul eba ----- 5-32  
gamoqveynebis TariRi - 16.07.2018

oficial uri dokumentebi / **Formal documents** ----- 33-36

i nst ruqci a / **Instructions** -----37-46

auqci oni / **Auction** ----- 47-48



gadasaxadebi #13, 2018

**GADASAKHADEBI** #13, 2018



# arbi t ra Ji

დამტკიცებულია: მუდმივმოქმედ არბიტრაჟი

შპს „საერთაშორისო არბიტრაჟი“ –ს

პარტნიორთა კრების მიერ

2018 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით

ქ. თბილისი

## შპს „საერთაშორისო არბიტრაჟი“ –ს

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1. საარბიტრაჟო დებულებაში მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „არბიტრაჟი“ საერთაშორისო არბიტრაჟი (შემდგომში არბიტრაჟი) მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საერთაშორისო არბიტრაჟი“ –კონკრეტული დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით დანიშნული არბიტრი/არბიტრები. ერთი ან რამდენიმე წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. არბიტრაჟის ფორმირებას ახდენს კომპანიის პარტნიორთა კრება, რომელიც ახორციელებს თავის უფლებამოსილებას კომპანიის წესდების, წინამდებარე დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. „არბიტრი“ – დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით დებულების შესაბამისად დანიშნული პირი. შპს „საერთაშორისო არბიტრაჟთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი ან მხარის მიერ დანიშნული პირი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს არბიტრაჟში განსახილველად შემოსული საქმე;

1.3. შპს „საერთაშორისო არბიტრაჟი“ – შემდგომში მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.

1.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – შპს „საერთაშორისო არბიტრაჟის“ თავმჯდომარე; შპს „საერთაშორისო არბიტრაჟის“ –ს საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ არბიტრაჟის თავმჯდომარედ ან მისი მოვალეობის შემსრულებლად არჩეული ან დანიშნული პირი, რომელიც ახორციელებს შპს „საერთაშორისო არბიტრაჟის“ –ს უფლებამოსილებას ფორმირებისა და დავების საარბიტრაჟო განხილვის პროცესში;



1.5. „კანონი“ 2009 წლის 19 ივნისის – საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“;

1.6. „სასამართლო“ – ამ დებულების მე-3, მე-4, მე-10 და მე-12 მუხლებისათვის – ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს სარბიტრაჟო განხილვა; მე-8, მე-18 და მე-20 მუხლებისათვის – სააპელაციო სასამართლოები;

1.7. „დავა“ – კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს;

1.8. „მხარეები“ – საარბიტრაჟო მოსარჩელე და მოპასუხე;

1.9. საარბიტრაჟო მოსარჩელე – მხარე, რომელიც დავას განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს;

1.10. „მტკიცებულება“ – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას;

1.11. „საარბიტრაჟო განხილვა“ – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა;

1.12. „საარბიტრაჟო შეთანხმება“ (საარბიტრაჟო დათქმა) – დავამდელი ან დავის შემდგომი წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.

1.13. „დებულება“ – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება. „საერთაშორისო არბიტრაჟის“ საარბიტრაჟო წარმოების წესები (დებულება)

1.14. დავა–კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა არბიტრაჟს;

1.15. არბიტრთა კოლეგია –კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილი არბიტრაჟი სამი არბიტრის შემადგენლობით.

## მუხლი 2. ზოგადი დებულებები

2.1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არის დავების განხილველი დაწესებულება, რომელიც კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ კერძო ხასიათის ქონებრივ დავას, მოქმედი კანონმდებლობის და დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, თუ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.2. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

2.3. დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) უფლებამოსილია განახორციელოს კანონითა და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის პროცედურებით. დებულებით გაუთვალისწინებელი საკითხის გადაწყვეტისას არბიტრაჟი ხელმძღვანელობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქ. კანონით (2009 წ) და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დებულებებით, ანალოგიის წესით. დაუშვებელია წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.



**2.4.** მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

**2.5.** მხარეები იწყებენ დავის წარმოებას მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, დებულებაში და კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის გზით.

**2.6.** მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. საარბიტრაჟო მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო სარჩელზე, ხოლო მეორე მხარეს – ცნოს საარბიტრაჟო სარჩელი.

**2.7.** საარბიტრაჟო დავის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

**2.8.** მხარეებს უფლება აქვთ მათთვის კანონით და ამ დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელების უფლება გადასცენ მესამე პირებს.

**2.9** სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**2.10.** ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას ან უკვე დანიშნული არბიტრების შეცვლას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**2.11.** საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**2.12.** მხარეებს, აგრეთვე არბიტრაჟს, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**2.13.** არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, კანონის მოთხოვნათა დაცვით. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვებელია.

**2.14.** თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრაჟი იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

**2.15.** თუ მხარეები შეთანხმდებიან ,არბიტრაჟმა შესაძლოა დავა განიხილოს ონლაინ არბიტრაჟის წესით.



**2.16.** არბიტრაჟის სამდივნოს წარმოადგენს მდივანი ან მისი გადაწყვეტილების საფუძველზე მოადგილე. სამდივნოს შეუძლია აწარმოოს ჩანაწერები და შექმნას დოკუმენტები მხარეთა და არბიტრების ინფორმირების მიზნით, ასევე საარბიტრაჟო განხილვის სათანადოდ წარმართვისთვის. სამდივნოს ოფისები შესაძლებელია დაფუძნდეს საერთაშორისო არბიტრაჟის სათაო ოფისის გარეთაც. მდივანი აღჭურვილია უფლებამოსილებით საქმე გადასცეს საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლოს, დაამტკიცოს არბიტრები, დაამოწმოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ასლის სისწორე, განსაზღვროს წინასწარი საარბიტრაჟო ხარჯის ოდენობა და მოითხოვოს მისი გადახდა.

### **მუხლი 3. საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟის კომპეტენცია**

**3.1.** საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის, ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

**3.2.** საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით.

**3.3.** საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

**3.4.** საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა.

**3.5.** საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

**3.6.** საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

**3.7.** ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.

**3.8.** თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის 3.4-3.6 პუნქტები.

**3.9.** არბიტრაჟი უფლებამოსილია, მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით, საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.





**3.10.** განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.

**3.11.** განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.

**3.12.** განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის **3.11** პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

**3.13.** თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გამოტანიდან **30** დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

#### **მუხლი 4. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება**

**4.1.** არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან.

**4.2.** არბიტრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი განისაზღვრება საარბიტრაჟო შეთანხმებით, ხოლო ასეთი დათქმის არარსებობის შემთხვევაში არბიტრაჟი, იქმნება ამ მუხლით დადგენილი წესით.

**4.3.** თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საქმის განმხილველი არბიტრაჟის შექმნიდან 5 დღის ვადაში ნიშნავს კიდევ ერთ არბიტრს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრთა სიიდან.

**4.4.** თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით განსაზღვრულია არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა, მაშინ არბიტრაჟი იქმნება ამ შეთანხმების შესაბამისად, ხოლო სხვა შემთხვევებში, არბიტრაჟის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟის თავმჯდომარე, დავის სირთულის გათვალისწინებით.

**4.5.** სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე, რომელსაც ჩაბარდა შეტყობინება პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას და არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის ან არბიტრაჟის მოთხოვნის მიღებიდან **10** დღის ვადაში, ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშვნიდან **5** დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე **5** დღის ვადაში. თუ მხარე დებულების ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნავს არბიტრს (არბიტრებს), ეს ჩაითვლება მხარის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმად.

**4.6.** ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობიდან **5** დღის ვადაში.



**4.7.** პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არბიტრის დანიშვნისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

**4.8.** არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

**4.9.** მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს. თუ საქმეში რამდენიმე მოპასუხეა, ერთ-ერთი მოპასუხის მიერ დანიშნული არბიტრი ჩაითვლება ყველა მოპასუხის მიერ დანიშნულად.

**4.10.** მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში, არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში, ახალი არბიტრი (არბიტრები) ინიშნება ამ მუხლით დადგენილი წესით.

**4.11.** ყოველი პირი მის არბიტრაჟის წევრად დანიშვნაზე იძლევა წერილობით თანხმობას. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე.

**4.12.** მხარის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ არბიტრთან მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დებს ხელშეკრულებას.

**4.13.** არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს დადგენილებას (განკარგულებას).

**4.14.** მხარეს უფლება არა აქვს ერთპიროვნულად შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი.

**4.15.** მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ:

- ა) იგი არის ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირი;
- ბ) არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;
- გ) არის მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა;
- დ) არის მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა;
- ე) არ გააჩნია მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;
- ვ) თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

**4.16.** მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

**4.17.** თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ, მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება მისცეს არბიტრაჟის წევრს, ვალდებულია წერილობითი განცხადება აცილების შესახებ წარადგინოს 3 დღის ვადაში შესაბამისი არბიტრაჟის წევრის დანიშნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა.



**4.18.** თუ განცხადებას აცილების შესახებ ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

**4.19.** თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური არბიტრაჟის ერთ წევრს და არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც დაისვა, თვითონ არ ამბობს უარს არბიტრაჟის წევრობაზე და მეორე მხარეც არ არის თანახმა აცილებაზე, მაშინ აცილების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

**4.20.** თუ აცილება განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს არბიტრი; აცილების მიღების შემთხვევაში არბიტრი საქმეს გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმეს განსახილველად გადასცემს სხვა არბიტრს.

**4.21.** თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური არბიტრაჟის მთელ შემადგენლობას ან მის უმრავლესობას, აცილების საკითხს გადაწყვეტს ამავე არბიტრაჟის სრული შემადგენლობა ხმების უმრავლესობით; კოლეგიური არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის – აცილების შემთხვევაში მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საქმეს განსახილველად გადასცემს კოლეგიური არბიტრაჟის სხვა შემადგენლობას, რომელიც დაინიშნება საერთო წესით.

**4.22.** არბიტრის გადაყენების შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამო აქვს განკარგულება; არბიტრის მიერ უარის თქმის, შეცვლის ან აცილების შემთხვევაში ახალი არბიტრი ინიშნება ამ მუხლით დადგენილი წესით.

**4.23.** ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.

**4.24.** ექსპერტის, თარჯიმნისა და სპეციალისტის აცილების საფუძვლად არ ჩაითვლება დებულების **4.15** პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული გარემოებები.

**4.25.** მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უფლება აქვს, პატივსადები მიზეზების არსებობისას განაცხადოს თვითაცილება დავის განხილვაზე, რის შესახებაც მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დადგენილება (განკარგულება), ხოლო მხარეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი მასალები და საარბიტრაჟო მოსაკრებელი სრულად.

#### **მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება**

**5.1.** საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

**5.2.** არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან, აგრეთვე, არბიტრაჟის გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

**5.3.** არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.



**5.4.** საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი, გარდა არბიტრაჟის გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმების ხარჯისა.

**5.5.** საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდევინება წარმოებს:

- ა) საარბიტრაჟო სარჩელზე;
- ბ) შეგებულ საარბიტრაჟო სარჩელზე;
- გ) დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საარბიტრაჟო სარჩელზე;
- დ) განცხადებაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;
- ე) საარბიტრაჟო საჩივარზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე;
- ვ) განცხადებაზე უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ და საჩივარზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ;
- ზ) განცხადებაზე ან შუამდგომლობაზე სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის დეპონირებისათვის;
- თ) განცხადებაზე საპროცესო ვადების აღდგენის თაობაზე.

**5.6.** მოსაკრებლის ოდენობა ქონებრივ დავებზე და **5.5** პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეადგენს დავის საგნის ღირებულების **2%**-ს (ორი პროცენტი), მაგრამ არანაკლებ **500** (ხუთასი) ლარისა. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება **3 000** ლარს, მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს **300** (სამასი) ლარს.

**5.7.** მოსაკრებლის ოდენობა **5.5** პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეადგენს – **300** (სამასი) ლარს;

**5.8.** მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **100 000** ლარს (ფიზიკური პირისთვის), ხოლო იურიდიული პირისთვის **150 000** (ასორმოცდაათი ათასი) ლარს.

**5.9.** დავის საგნის ფასს მიუთითებს საარბიტრაჟო მოსარჩელე. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**5.10.** თუ არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავა გამომდინარეობს სხვადასხვა ვალდებულებებიდან (ხელშეკრულებიდან) და ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე ძირითადი დავა უკვე განხილულია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ, მაშინ საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება **500** (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო თუ ძირითადი დავა განხილულია არა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, არამედ რომელიმე სხვა ორგანოს ან არბიტრაჟის მიერ, მაშინ ამ დავაზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო მოსაკრებელი განისაზღვრება სადავო საგნის ღირებულების **2%**-ის ოდენობით.



5.11. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა საარბიტრაჟო სარჩელი.

5.12. თუ საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, საქმის გადაწყვეტისას დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელის ფასის შესაბამისად.

5.13. ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

5.14. მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაათავისუფლოს მხარე საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან

5.15. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ნივთზე ყადაღის დადება, ან ნივთის გასხვისების, გაქირავების, გარდაქმნის, გაყოფის, გაერთიანების ან ნებისმიერი სხვა ფორმით სახის შეცვლის ან სამართლებრივი ბუნების შეცვლის შეზღუდვა; **100** (ასი) ლარი ერთ ნივთზე. **200** ლარი **2** (ორი) ან მეტ ნივთზე. საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება, ან საბანკო ანგარიშზე აქტიური ოპერაციების, კერძოდ, თანხის ანგარიშიდან გატანის, გადარიცხვის, კონვერტაციის უფლების შეზღუდვა გარკვეული თანხის ფარგლებში; **100** (ასი) ლარი – ერთ კონკრეტულ საბანკო დაწესებულებაში ანგარიშებთან დაკავშირებით. **200** (ორასი) ლარი – ორ ან მეტ საბანკო დაწესებულებაში ანგარიშებთან დაკავშირებით.

5.16. ერთი მხარის ნაწილობრივ გაათავისუფლება საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან მეორე მხარის საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

5.17. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან განაწილადოს არბიტრაჟის ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს მისი ოდენობა. საქმის კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, არბიტრაჟს შეუძლია დაადგინოს დებულებით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული საარბიტრაჟო ხარჯებისა და მხარეთა დანახარჯების განაწილების წესი. ამავდროულად დააკისროს ერთ – ერთ მხარეს, მეორის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ზედმეტი ხარჯის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო ამ მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით და იწვევდა საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.

5.18. მოსაკრებლის ოდენობა შემცირდება **50%**-ით თუ მოსარჩელემ უარი თქვა თავის საარბიტრაჟო სარჩელზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნამდე (ამ შემთხვევაში არბიტრებს არ წარმოემოხათ ჰონორარის მიღების უფლება), ხოლო თუ მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შემცირდება **30%**-ით (ოცდაათი პროცენტით) და მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს.



**5.19.** მხარეთა მორიგების შემთხვევაში მოსაკრებლის ოდენობა შემცირდება **30%**-ით (ოცდაათი პროცენტით), რაც წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უკან დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს.

**5.20.** სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელეს დაუბრუნდება საქმის განხილვისათვის გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის **50%** (ორმოცდაათი პროცენტი).

**5.22.** ამ მუხლის **5.17-5.19** პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში, არბიტრაჟის დარჩენილი მოსაკრებელი არ შეიძლება იყოს **5.6** პუნქტში მითითებულ მინიმალურ თანხაზე ნაკლები.

**5.23.** თუ საარბიტრაჟო სარჩელზე უარის თქმა, საარბიტრაჟო სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

**5.24.** არბიტრაჟის ხარჯები (საარბიტრაჟო მოსაკრებელი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), დებულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საარბიტრაჟო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება არბიტრაჟის ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

**5.25.** თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ საარბიტრაჟო მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც საარბიტრაჟო მოსარჩელეს უარი ეთქვა.

**5.26.** თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო მოსარჩელის თხოვნით არბიტრაჟი მოპასუხეს დააკისრებს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ გაწეული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურებას.

**5.27.** თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ურთიერთგანაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

**5.27.** მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ საარბიტრაჟო განხილვის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების, მათ შორის სხდომის ოთახის დაქირავების, თარჯიმნის, ჩანაწერის წარმოების ხარჯების ანაზღაურება.



**5.28.** დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსაკრებლის შესაბამისი ნაწილი უბრუნდება მის შემომტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ. ამასთან ამ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საარბიტრაჟო მოსაკრებელი რომელიც რჩება საერთაშორისო არბიტრაჟს, არ შეიძლება იყოს განსაზღვრული საარბიტრაჟო მინიმუმზე ნაკლები თანხა.

**5.29.** საერთაშორისო არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემამდე ან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თუ მხარეები მიმართავენ საერთაშორისო არბიტრაჟს მორიგების საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმით გაფორმების შესახებ, მათ ასევე უნდა წარუდგინონ საერთაშორისო არბიტრაჟს საარბიტრაჟო მოსაკრებლის, მორიგების საგნის (სადაო თანხა) ღირებულების 1.5% -ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსაკრებელი არ უნდა იყოს 150 ლარზე ნაკლები.

#### **მუხლი 6. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადები, დაჩქარებული წესით განხილვის პროცესი**

**6.1.** საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით და დებულებით დადგენილ ვადაში.

**6.2.** კანონით ან დებულებით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**6.3.** თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

**6.4.** თუ საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა კანონით ან დებულებით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის მხარეების ან კანონის მიერ დაწესებული ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

**6.5.** საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს ამ დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.

**6.6.** საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება მხოლოდ დღეებით.

**6.7.** საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

**6.8.** ყველა დაუმთავრებელი საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება არბიტრაჟის დადგენილების გამოტანის დღიდან, შეჩერებული ვადის დენა განახლდება წარმოების განახლების დღიდან.



**6.9.** საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით, დებულებით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

**6.10.** არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

**6.11.** საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის კანონით ან დებულებით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით ან დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღდგინოს არბიტრაჟმა, თუ ცნობს რომ საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

**6.12.** განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება ამ ვადის გასვლის შემდეგ არბიტრაჟში. სპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადება არბიტრაჟში შეიძლება შეიტანოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადება არ შეიტანა ვადის აღდგენის ვადის დასრულების შემდეგ. განცხადება შეიძლება შეიტანოს ვადის აღდგენის ვადის დასრულების შემდეგ, თუ ცნობს, რომ საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადება არ შეიტანა ვადის აღდგენის ვადის დასრულების შემდეგ.

**6.13.** ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს ის საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის ვადაც გასულია.

**6.14.** განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ვადაში შეუსრულებლობა, აგრეთვე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

**6.15.** განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) მხარეთათვის შეუტყობინებლად.

**6.16.** საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

**6.17.** არბიტრაჟი დავას იხილავს დაჩქარებული წესით თუ:

ა) სარჩელითა და შემხვედრი სარჩელით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ჯამი არ აღემატება **100 000** (ასი ათას) ლარს;

ბ) საარბიტრაჟო დავა წარმოშობილია საკრედიტო ან/და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან (გირაო, იპოთეკა, თავდებობა, საბანკო გარანტია, მოვალის გარანტია და სხვა) მიუხედავად სარჩელის მოთხოვნის ოდენობისა.

გ) მხარეები საარბიტრაჟო სასამართლოს ფორმირების შემდგომ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს ამ მუხლით გათვალისწინებული წესით და მიიღებენ არბიტრაჟის თანხმობას.

**6.17.** არბიტრს შეუძლია, თუ სასარჩელო მოთხოვნის ღირებულებულება არ აღემატება **100 000** (ასი ათასი) ლარს გადაწყვეტილება მიიღოს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. არბიტრს შეუძლია ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს მოსთხოვოს წერილობითი პოზიციის წარმოდგენა ან მოიწვიოს სხდომა მხარეთა პოზიციის მისაღებად.





**6.18.** მხარეებს აქვთ შესაძლებლობა სარჩელი და მასზე შესაგებელი, ასევე წერილობითი მტკიცებულებები წარუდგინონ საერთაშორისო არბიტრაჟის სამდივნოს ელექტრონული ფორმით, ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამის მეშვეობით.

**6.19.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში, არბიტრმა (არბიტრებმა) მოკლედ უნდა მიუთითოს იმ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებსაც დაეყრდნო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისას. თუ მხარეები არ არიან შეთანხმებული, საფუძვლების მითითება (სამოტივაციო ნაწილი) არ არის აუცილებელი.

**6.20.** არბიტრმა საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაასრულოს მისთვის საქმის გადაცემიდან **90** დღის ვადაში. გამონაკლის შემთხვევაში საერთაშორისო არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა.

### **მუხლი 7. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება, საარბიტრაჟო განხილვის ადგილი**

**7.1.** არბიტრაჟი, არბიტრი ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო უწყებით (წერილობითი შეტყობინებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილს.

**7.2.** საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

**7.3.** მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს არბიტრაჟის შესაბამისი თანამშრომელი.

**7.4.** თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება, თუ ის ადრესატს ჩაბარდა პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, უკანასკნელ საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას.

**7.5.** საარბიტრაჟო შეტყობინება და საქმის მასალები ჩაბარებულად ითვლება, თუ ისინი ჩაბარებულ იქნა დებულების მე-7 მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

**7.6.** საარბიტრაჟო შეტყობინებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ საბუთების ასლებთან ერთად (გზავნილი). შეტყობინებაში მიეთითება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების ინტერნეტში საჯაროდ გამოქვეყნების ელექტრონული მისამართი. მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მას გადაეცემა დებულების ბეჭდური ვერსია.

**7.7.** საარბიტრაჟო შეტყობინების და გზავნილის სანიმუშო ფორმას და შინაარსს ადგენს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია, კონკრეტული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, შეცვალოს გზავნილის შინაარსი.

**7.8.** თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში (მუდმივმოქმედ არბიტრაჟში) მეორე მხარისაგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი მიღებიდან **5** დღის ვადაში.



7.9. საარბიტრაჟო უწყება და გზავნილი იგზავნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

7.10. მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

7.11. თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

7.16. თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ამ დებულების 7.4 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელების გარდა არბიტრაჟი უფლებამოსილია, მოსარჩელის მოთხოვნისა და მის მიერ შესაბამისი ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში, განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით, რის შესახებაც არბიტრაჟს გამოაქვს განკარგულება. საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება gazeTSi (ბეჭდვით ორგანოში) gamoqveynebi dan me-7 dRes.

7.17. საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ქ. თბილისი, თუ მხარეები საარბიტრაჟო განხილვის სხვა ადგილზე არ შეთანხმდებიან.

7.18. საარბიტრაჟო სხდომები იმართება, როგორც წესი საერთაშორისო არბიტრაჟის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამასთან არბიტრაჟს მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მხარეთა ზეპირი მოსმენა, და სხვა შეხვედრები გამართოს სხვა ადგილას.

7.19. არბიტრაჟს შეუძლია სამუშაო თათბირი გამართოს ნებისმიერ ადგილას.

7.20. ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერი მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიღება 7.17 პუნქტით განსაზღვრულ საარბიტრაჟო განხილვის ადგილას.

## **მუხლი 8. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები**

8.1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

8.2. მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, არბიტრაჟი, ხოლო თუ დავის განმხილველი არბიტრაჟი შექმნილი არ არის, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს:



ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღდგენას;

ბ) ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;

გ) ღონისძიებების განხორციელებას იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

დ) მტკიცებულებების შენახვასა და შენარჩუნებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

**8.3.** მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის ამ დებულების 8.2 მუხლის „ა“-„გ“ პუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

გ) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

**8.4.** ამ დებულების 8.2 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ 8.3 მუხლის „ა“-„გ“ პუნქტების მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

**8.5.** არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

**8.6.** მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია მის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი შემდგომ დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.



**8.7.** არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს, ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების საკითხს განიხილავს და წყვეტს იგივე ორგანო ან პირი, ვის მიერაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ აღნიშნული საკითხი დასმული იქნება დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნიდან დავაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაშინ საკითხს განიხილავს და წყვეტს დავის განმხილველი არბიტრაჟი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ერთობლივი განცხადებით მომართავენ არბიტრაჟს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ, მაშინ აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**8.8.** არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

**8.9.** არბიტრაჟი შუამდგომლობას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ განიხილავს მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, მისი შეტანიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში.

**8.10.** სარჩელის უზრუნველყოფის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს განჩინება (დადგენილება). განჩინებაში (დადგენილებაში) უნდა მიეთითოს, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება (ღონისძიებები) იქნა გამოყენებული, ასევე უნდა მიეთითოს, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებებით.

**8.11.** სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მიღებულ არბიტრაჟის განჩინებას (დადგენილებას) აქვს სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ, სასამართლოსათვის მისი ცნობა აღსრულების მიზნით მიმართვის გარეშე.

**8.12.** მხარეს ასევე შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, არბიტრაჟში მომართვის გარეშე.

### **მუხლი 9. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო ქმედუნარიანობა**

**9.1.** არბიტრაჟი დავის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების საარბიტრაჟო სარჩელის და შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, მის მიერ დავაზე კომპეტენციის ცნობის შემდეგ. მხარეებად არბიტრაჟში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.



**9.2.** მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

**9.3.** საარბიტრაჟო მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა.

**9.4.** დავის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ არბიტრაჟის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს **10** დღისა.

**9.5.** საარბიტრაჟო სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

**9.6.** დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც სარჩელის, საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს აცილებს.

**9.7.** მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე ადვოკატის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

**9.8.** საარბიტრაჟო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

- ა) საარბიტრაჟო სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;
- ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;
- გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

**9.9.** თითოეული საარბიტრაჟო მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

**9.10.** თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

**9.11.** თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის (საქმის) წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.



### **მუხლი 10. საარბიტრაჟო განხილვის დაწყება და საარბიტრაჟო სარჩელი**

**10.1.** თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განხილება ამ დებულებით დადგენილი წესით, კანონის მოთხოვნათა დაცვით.

**10.2.** საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**10.3.** საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ქ. თბილისი, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ფუნქციონირების ფაქტიური ადგილი, თუ მხარეები საარბიტრაჟო განხილვის სხვა ადგილზე არ შეთანხმდნენ.

**10.4.** არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილას მოიწვიოს სხდომა არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**10.5.** მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები. ამგვარი შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვა ხორციელდება ქართულ ენაზე. პირს, რომელმაც საარბიტრაჟო განხილვის ენა არ იცის, დაენიშნება თარჯიმანი. არბიტრაჟი ასევე უფლებამოსილია საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები დაადგინოს ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის ხელშეკრულების ენის ჯეროვანი გათვალისწინებით. მხარეთა შეთანხმება ან არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეხება აგრეთვე მხარეთა ნებისმიერ წერილობით განცხადებას, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, განჩინებას, დადგენილებასა და საარბიტრაჟო წარმოებაში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა საბუთს. არბიტრაჟმა შეიძლება დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო წარმოების ენაზე (ენებზე).

**10.6.** საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო სარჩელი (სარჩელი), რომელიც მოსარჩელემ წერილობითი ფორმით უნდა წარმოუდგინოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, მასში მითითებული უნდა იყოს მხარეთა სახელები (სახელწოდებები) და მისამართები (ადგილსამყოფლები), საიდენტიფიკაციო მონაცემები, მოთხოვნა, ის გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას, და საარბიტრაჟო სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა.

**10.7.** საარბიტრაჟო მოპასუხე მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. შესაგებლის წარდგენისათვის დანიშნული ვადა არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა არ ჩაითვლება საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.



**10.8.** დებულების 10.6 და 10.7 პუნქტები გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმებით სხვა მოთხოვნები არ არის დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის მიმართ, ან როდესაც ასეთი შეთანხმება არ არსებობს.

**10.9.** საარბიტრაჟო სარჩელს აუცილებლად უნდა ერთოდეს ის დოკუმენტი, სადაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**10.10.** საარბიტრაჟო სარჩელი და თანდართული საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნეს იმდენი დამატებითი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

**10.11.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში თავისი დადგენილებით (განკარგულებით) ცნოს არბიტრაჟის კომპეტენცია და მიიღოს დავა წარმოებაში ან არ ცნოს დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია და უარი თქვას მის მიღებაზე. არბიტრაჟის მიერ დავაზე კომპეტენციის ცნობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 16.5 მუხლის შესაბამისად და დებულების 3.13 მუხლის შესაბამისად.

**10.12.** საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ამ მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება. თუ საარბიტრაჟო სარჩელი შეტანილია დებულების 10.6 და 10.9 მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს და საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, სარჩელი შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 60%.

**10.13.** მიღებული საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს მოპასუხეს მისი წარმოებაში მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

**10.14.** თუ საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელზე ამ მუხლის 10.7 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.

**10.15.** თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გაეცნოს არბიტრაჟის თავმჯდომარეს და დავის განმხილველ არბიტრებს.

**10.16.** თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები, შესაგებელი ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად.

**10.17.** მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას საარბიტრაჟო მოსარჩელის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ:



ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად გადაწყდება.

**10.18.** ამ დებულების 10.17 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.

**10.19.** შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენა შეიძლება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

**10.20.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსამართლის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

გ) სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

დ) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

**10.21.** სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება (დადგენილება).

**10.22.** სარჩელის მიუღებლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განჩინება (დადგენილება) ჩაბარდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 30%. ამასთან, ასეთ შემთხვევებში მოსაკრებლის ნაწილი, რომელიც არ ბრუნდება, არ შეიძლება იყოს 300 ლარზე ნაკლები.

**10.23.** თუ საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ან შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა შესაძლებელია როგორც არბიტრაჟის მიერ, ასევე საერთო სასამართლოების წესით და მითითებული არ არის, რომ არჩევა ხდება მოსარჩელის მიერ, ან პირდაპირ არ არის მითითებული, რომ არბიტრაჟის შემთხვევაში დავას განიხილავს შპს „საერთაშორისო არბიტრაჟი“, მოწინააღმდეგე მხარის მიერ საარბიტრაჟო სარჩელით მომართვის შემთხვევაში, არბიტრაჟი შესთავაზებს მოპასუხე მხარეს დავის შპს „საერთაშორისო არბიტრაჟის“ მიერ განხილვას. თუ მოპასუხე მხარე არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში განაცხადებს თანხმობას არბიტრაჟის კომპეტენციასა და უფლებამოსილებაზე, არბიტრაჟი განიხილავს საქმეს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე დადგენილ ვადაში უარს განაცხადებს, ან საერთოდ არ გამოეხმაურება არბიტრაჟის მიმართვას მისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ცნობაზე კონკრეტული დავის მიმართ, არბიტრაჟი საარბიტრაჟო სარჩელს ტოვებს განუხილველად და აღნიშნულზე იღებს განჩინებას (დადგენილებას), ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უკან დაუბრუნდება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და გადახდილი საარბიტრაჟო





მოსაკრებლის 80%. ამასთან, ასეთ შემთხვევებში მოსაკრებლის ნაწილი, რომელიც არ ბრუნდება, არ შეიძლება იყოს 200 ლარზე ნაკლები.

**10.24.** მხარეს უფლება აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განცხადების საფუძველზე გამოითხოვოს საქმე უკან. საქმის გამოთხოვის შემთხვევაში არბიტრაჟს, ხოლო თუ არბიტრაჟი შექმნილი არ არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, გამოაქვს დადგენილება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. მხარის განცხადების საფუძველზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნამდე საქმის გამოთხოვის შემთხვევაში მხარეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 30%, ხოლო დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნის შემდგომ საქმის გამოთხოვის შემთხვევაში – გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 20%. ამასთან, ასეთ შემთხვევებში მოსაკრებლის ნაწილი, რომელიც არ ბრუნდება არ შეიძლება იყოს 300 ლარზე ნაკლები.

### **მუხლი 11. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა და მხარეთა გამოუცხადებლობა**

**11.1.** თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე. არბიტრაჟი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმებაში განსაზღვრული წესისა.

**11.2.** საქმის ზეპირი განხილვის დროს დგება ოქმი. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ძირითად მომენტებს. ოქმს ადგენს მდივანი საარბიტრაჟო სხდომაზე. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ხუთი დღისა სხდომის დამთავრების შემდეგ. ოქმს ხელს აწერს არბიტრი და მდივანი. ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავდა, ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი. არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი, რომელთა ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ მაგნიტოფონისა თუ კომპიუტერის ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში. სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან ხუთი დღის განმავლობაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ უსწორობასა თუ უსრულობაზე.

**11.3.** თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა საარბიტრაჟო განხილვა უნდა იყოს დახურული. წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ უნდა იქნეს საჯაროდ გამოქვეყნებული ან გადაცემული და გამოყენებული სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**11.4.** არბიტრი და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებული არიან, დაიცვან საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.



**11.5.** არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს.

**11.6.** თუ ერთ-ერთი მხარე არასაკატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**11.7** ამ დებულებისათვის, საკატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის sxdomaze გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და ბეჭდით რომელიც პირდაპირ მიუთითებს sxdomaze გამოცხადების შეუძლებლობაზე.

**11.8.** თუ ამ კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

**11.9.** არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**11.10.** საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ საქმის განმხილველი არბიტრაჟი იღებს დადგენილებას, ხოლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე – განკარგულებას. ასეთი დადგენილებით (განკარგულებით) შეიძლება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადები შეჩერდეს შესაბამისი მტკიცებულებების მიღებამდე.

## **მუხლი 12. საარბიტრაჟო განხილვა**

**12.1.** საარბიტრაჟო განხილვა იწყება განსახილველ საქმეზე პირველი საარბიტრაჟო სხდომის დღეს.

**12.2.** საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე ხსნის და უძღვება სხდომას, აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, იმას, თუ ვინ გამოცხადდა სხდომაზე გამოძახებულ პირთაგან, მხარეებს განუმარტავს აცილების უფლების შესახებ.



**12.3.** მხარეთა განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის თუ გამოთხოვის, აგრეთვე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ, არბიტრაჟმა შეიძლება დააკმაყოფილოს იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შუამდგომლობები და განცხადებები მიზნად არ ისახავს საქმის განხილვის გაჭიანურებას. ასეთ შემთხვევაში მხარეთა თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს.

**12.4.** საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის არსის შესახებ სხდომის თავმჯდომარის (კოლეგიური შემადგენლობის შემთხვევაში – ერთ-ერთი წევრის) მოკლე მოხსენებით, რის შემდეგაც არბიტრაჟი მოისმენს მოსარჩელის და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს. მოსარჩელის შემდეგაც, სიტყვა ახსნა-განმარტებისათვის ეძლევა მოპასუხესა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირს.

**12.5.** ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდგომ იწყება შეკითხვების სტაქია. შეკითხვებს პირველად სვამს მოსარჩელე, ხოლო შემდეგ მოპასუხე. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, არბიტრაჟს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ დროს დაუსვას მხარეებს შეკითხვები.

**12.6.** შეკითხვების შემდგომ, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით არბიტრაჟს შეუძლია გამოაქვეყნოს და გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შემდგომაც იწყება მხარეთა პაექრობა. პაექრობისათვის სიტყვა ეძლევა მოსარჩელეს და მის წარმომადგენელს, ხოლო შემდგომ მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. მესამე პირი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით და მისი წარმომადგენელი გამოდიან მხარეების შემდეგ. მესამე პირი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე და მისი წარმომადგენელი გამოდიან იმ მოსარჩელის ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზეც მესამე პირი მონაწილეობს საქმეში.

**12.7.** მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით.

**12.8.** მხარეთა პაექრობის შემდეგ არბიტრაჟი გადის გადაწყვეტილების მისაღებად. სხდომაზე გამოცხადდება მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. არბიტრაჟს შეუძლია გადაწყვეტილების გამოცხადება გადადოს არა უმეტეს **14** დღით, რის შესახებაც უნდა აცნობოს მხარეებს.

### **მუხლი 13. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადა**

**13.1.** რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**13.2.** არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**13.3.** გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს არბიტრაჟის თავმჯდომარემ, თუ მას შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული ექნება მხარეების ან ყველა არბიტრის მიერ.



**13.4.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან **180** დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს **180** დღით. საქმის დაჩქარებული წესით განხილვისას მოქმედებს სხვა ვადები.

**13.5.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე არბიტრების ხელმოწერები უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად.

**13.6.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან ამის შესახებ მხარეები განაცხადებენ თანხმობას პროცესზე, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია ამ დებულების **13.9-13.11** მუხლების შესაბამისად.

**13.7.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს.

**13.8.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, თუ მხარეთა მიერ ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

**13.9.** თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი შეწყვეტს განხილვას. არბიტრაჟი, მხარეთა თხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცებს მხარეთა მორიგებას შეთანხმებული პირობებით.

**13.10.** არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებიდან **30** დღის ვადაში.

**13.11.** მორიგების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

#### **მუხლი 14. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა**

**14.1.** საარბიტრაჟო განხილვა წყდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ ან **14.2** პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟის დადგენილების საფუძველზე.



**14.2.** არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;

ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე;

გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

დ) არბიტრაჟისთვის საქმის გადაცემის შემდეგ, მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის საფუძველზე საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის მოთხოვნისას, არბიტრაჟი იღებს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მხარეები შუამდგომლობენ შეთანხმებული პირობების დამტკიცებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით (თუ ამას ეთანხმება არბიტრაჟი) მიიღება გადაწყვეტილება მხარეთა შეთანხმებული პირობებით დამტკიცებისა და საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი არ არის ვალდებული გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბოს სამოტივაციო ნაწილი.

### **მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

**15.1.** თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების მიღების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან **30** დღის ვადაში:

ა) მოსთხოვოს არბიტრაჟს, გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

ბ) მხარეთა შეთანხმების არსებობისას მოსთხოვოს არბიტრაჟს, მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით.

**15.2.** არბიტრაჟმა, თუ იგი მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან **30** დღის ვადაში უნდა შეიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება ან უნდა მისცეს შესაბამისი განმარტება. ასეთი განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია.

**15.3.** არბიტრაჟი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანიდან **30** დღის ვადაში თავისი ინიციატივით გაასწოროს **15.1** პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შეცდომა.



**15.4.** თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან **30** დღის ვადაში მოსთხოვოს არბიტრაჟს, გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში. არბიტრაჟმა, თუ იგი ამ მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან **60** დღის ვადაში უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება.

**15.5.** არბიტრაჟს, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია არა უმეტეს **30** დღით გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გაასწოროს შეცდომა, უნდა მისცეს განმარტება ან უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება ამ მუხლის შესაბამისად. თუ მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკვე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის განმავლობაში.

#### **მუხლი 16. არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საარბიტრაჟო განხილვის განახლება**

**16.1.** მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საარბიტრაჟო განხილვის განახლება შემდეგი საფუძვლით:

ა) სასამართლოს მიერ არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ უარის თქმის საფუძვლად სასამართლოს მიერ მითითებულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის **45-ე** მუხლის „ა.გ“, „ა.ე“ ან/და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებზე;

ბ) არბიტრაჟის მიერ მორიგების დამტკიცების შემდეგ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებების არსებობა, რაც მორიგების პერიოდში მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო, საარბიტრაჟო საქმის წარმოება არ შეწყდებოდა;

გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მხარეთა მორიგების შემთხვევაში;

დ) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდება სასამართლოს მიერ.

**16.2.** არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა განახლდება და საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან იქნება განხილული.

#### **მუხლი 17. საქმის წარმოების შეჩერება და განუხილველად დატოვება**

**17.1.** არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა შემდეგ შემთხვევებში:



ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომლის საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს არბიტრაჟში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

გ) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგებზე;

ვ) არბიტრაჟმა დანიშნა ექსპერტიზა;

ზ) სხვა აუცილებლობის შემთხვევაში.

**17.2.** საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

**17.3.** არბიტრაჟი განუხილველად დატოვებს საარბიტრაჟო სარჩელს, თუ:

ა) საარბიტრაჟო სხდომაზე საარბიტრაჟო მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხე თანახმაა საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვებისა;

ბ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა;

გ) საარბიტრაჟო სარჩელი დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

დ) საარბიტრაჟო მოსარჩელემ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი;

ე) დებულებით და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**17.4.** სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

## **მუხლი 18. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება**

**18.1.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე და 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

**18.2.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.



### **მუხლი 19. საარბიტრაჟო განხილვის განახლება**

**19.1.** იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე სასამართლოში გაასაჩივრებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და სასამართლო შეაჩერებს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის განხილვას იმ მიზნით, რათა არბიტრაჟს მიეცეს საშუალება განხილვის განახლებისა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად, არბიტრაჟი განაახლებს დავის საარბიტრაჟო განხილვას.

**19.2.** საარბიტრაჟო საქმის განხილვის განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არბიტრაჟს ამის თაობაზე გამოაქვს დადგენილება, რომლითაც ამავდროულად აუქმებს არბიტრაჟის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

**19.3.** განახლებული საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას არბიტრაჟი უგზავნის როგორც მხარეებს, ისე სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოფხვრის დამამტკიცებელ დოკუმენტთან ერთად.

**19.4.** იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ არ ცნო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, არბიტრაჟის შესახებ საქ. კანონის 45 –ე მუხლის „ა–გ“, „ა–ე“ ან |და „ბ.ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით, არბიტრაჟი საქმის სასამართლოდან დაბრუნების შემდეგ, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე განაახლებს საქმის წარმოებას და განიხილავს საქმეს ზემოაღნიშნული საფუძვლების აღმოფხვრის მიზნით.

**19.5.** საქმის განხილვის განახლების თაობაზე არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომლითაც ამავდროულად აუქმებს არბიტრაჟის წინა გადაწყვეტილებას.

**19.6.** განახლებული საქმის განხილვას აგრძელებს, როგორც წესი, იგივე არბიტრი, რომელიც მონაწილეობდა საქმის წინა განხილვაში. იმ შემთხვევაში, თუ იგივე არბიტრის მონაწილეობა საქმეში შეუძლებელია, საქმის არბიტრს ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე არბიტრთა სიიდან.

### **მუხლი 20. კონფიდენციალურობა**

**20.1.** არბიტრაჟის საქმიანობის კონფიდენციალურობა უნდა დაიცვას პირმა , რომელიც მის საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით იღებს მონაწილეობას.

### **მუხლი 21. ინტერესთა კონფლიქტი**

**21.1.** საერთაშორისო არბიტრაჟის თავმჯდომარეს, სასამართლოს წევრებს, სამდივნოს არა აქვთ უფლება გამოვიდნენ მხარის წარმომადგენლად იმ საქმეებში, რომლებიც განიხილება საერთაშორისო არბიტრაჟის–ს მიერ.

### **მუხლი 22. დასკვნითი დებულებები**

**22.1.** წინამდებარე დებულება გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

**22.2.** წინამდებარე დებულება ამოქმედდეს **2018** წლის **18** ივლისიდან.

16.07.2018

q. Tbil isi





## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

### ბრძანება №254

2018 წლის 28 ივნისი, ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

#### მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:



„3. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, ფინანსური დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, დავების დეპარტამენტი, ანალიტიკური დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი, რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო, საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი და სამსახურის უფროსის სამდივნო წარმოადგენენ სამსახურის სათავო ოფისს, ხოლო აუდიტის დეპარტამენტი, მომსახურების დეპარტამენტი, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი და საბაჟო დეპარტამენტი წარმოადგენენ სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტებს.“.

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ნიკოლოზ გაგუა





**საქართველოს ფინანსთა მინისტრის**

**ბრძანება №256**

2018 წლის 29 ივნისი, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

388	4023	სსიპ – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
390	4025	სსიპ – აჭარის ხელოვნების მუზეუმი
392	4027	სსიპ – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი
730	4370	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი
731	4371	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა
737	4377	ა(ა)იპ – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა
1155	4795	ა(ა)იპ – ასპინძის სპორტული კლუბი
1156	4796	ა(ა)იპ – ასპინძის კულტურის და ხელოვნების ცენტრი

2. ბიუჯეტის განმკარგველის - 1438 - „ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:



1439	5079	სსიპ „აჭარის მუზეუმი“
1440	5080	ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“
1441	5081	ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრი“
1442	5082	ა(ა)იპ „ასპინძის სასპორტო გაერთიანება“
1443	5083	ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრი“

## მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ნიკოლოზ გაგუა





## i n s t r u q c i a

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

## ბრძანება №259

2018 წლის 29 ივნისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის  
შესაბამისად, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010  
წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011,  
200090000.22.033.016112)

დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. VII<sup>2</sup> კარის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის VII<sup>3</sup> კარი:

„კარი VII<sup>3</sup>“

## ბაზრობის ორგანიზება

მუხლი 111<sup>3</sup>. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭება

1. პირი, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-  
სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებისა) ეწევა, ვალდებულია საგადასახადო  
ორგანოს მიმართოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, გარდა იმ  
შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ პირს მინიჭებული აქვს საქართველოს საგადასახადო  
კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი.



2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით დაინტერესებული პირი განცხადებით (დანართი №VII<sup>3</sup>-01) მიმართავს საგადასახადო ორგანოს.

3. განცხადებას უნდა ერთვოდეს პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრობის ტერიტორიის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საგადასახადო ორგანო:

ა) განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

ბ) განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის და ხარვეზების შესახებ აცნობებს განმცხადებელს და განუსაზღვრავს ვადას მის შესავსებად. ასეთ შემთხვევაში, განცხადების განხილვის 10-დღიანი ვადის დენა შეჩერებულად ითვლება პირის მიერ ხარვეზის აღმოფხვრამდე.

გ) განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში პირს ანიჭებს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსს და გასცემს შესაბამის სერტიფიკატს (დანართი №VII<sup>3</sup>-02).

5. საგადასახადო კონტროლის ღონისძიებათა შედეგად იმ პირის გამოვლენისას, რომელიც საქართველოში ბაზრობის ორგანიზებას ეწევა, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღნიშნულ პირს საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოადგენა სავალდებულო არ არის, რაც არ ათავისუფლებს მას აღნიშნული დოკუმენტაციის შემდგომში წარმოდგენის ვალდებულებისაგან.



7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი, რომელიც საქართველოში ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებია) ეწევა, ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრობის ტერიტორიის საკუთრების უფლების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. პირი ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონედ ითვლება ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

#### **მუხლი 111<sup>4</sup>. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის ვალდებულებები**

1. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:

ა) სავაჭრო ობიექტი ან/და სავაჭრო ადგილი იჯარით გასცეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრშია რეგისტრირებული;

ბ) ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილი უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირს სურს გაზარდოს/შეამციროს ბაზრობის ტერიტორიის ფართობი, იგი ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე, მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აცნობოს საგადასახადო ორგანოს და წარუდგინოს მას სათანადო დოკუმენტები ამ ინსტრუქციის 111<sup>3</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული არ ეხება შემთხვევას, როდესაც ბაზრობის ტერიტორიის ფართობის ცვლილება არ იწვევს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტების ან/და სავაჭრო ადგილების ცვლილებას.

3. ამ კარის მიზნებისათვის, სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა გულისხმობს პირისათვის სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის სარგებლობის უფლების ნებისმიერი ფორმით გადაცემას.



მუხლი 111<sup>5</sup>. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი

1. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია, არაუგვიანეს სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია (დანართი №VII<sup>3</sup>-03) ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ.

2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს შესაბამისი ცვლილების ან/და დამატების თაობაზე ინფორმაცია (დანართი №VII<sup>3</sup>-03) არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების ან/და დამატების განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე საგადასახადო ორგანო ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკურ პირს ანიჭებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსს და შესაბამის ჩანაწერს აკეთებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი).

4. საგადასახადო ორგანო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებას ახორციელებს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკური პირი ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონედ ითვლება შესაბამისი სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.





6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტისას - იჯარის შეწყვეტისას), საგადასახადო ორგანო ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკურ პირს უუქმებს ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსს და შესაბამის მონაცემებს ამოიღებს რეესტრიდან.

**მუხლი 111<sup>6</sup>. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების წესი**

1. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 3%-ით, გამოქვითვების გარეშე. ამ შემთხვევაში გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

3. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი უფლებამოსილია უარი თქვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე, რის შესახებაც მან განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრისა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის შემოსავალი დაიბეგრება საგადასახადო კოდექსის 79-ე–81-ე და 82-ე მუხლების შესაბამისად.

ბ) გადასახადის დეკლარირება ხორციელდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, სამშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიური დეკლარაციის (№11-04 დანართი) საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენის გზით.“.



2. 111<sup>6</sup> მუხლის შემდეგ დაემატოს NVII<sup>3</sup>-01; NVII<sup>3</sup>-02 და NVII<sup>3</sup>-03 დანართები თანდართული რედაქციით;

## მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული 111<sup>5</sup> მუხლის მე-3-მე-6 პუნქტებისა და 111<sup>6</sup> მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული 111<sup>5</sup> მუხლის მე-3-მე-6 პუნქტები და 111<sup>6</sup> მუხლი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ნიკოლოზ გაგუა

დანართი №VII<sup>3</sup>-01

-----  
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

-----  
(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)



საიდენტიფიკაციო ნომერი



-----  
(მისამართი)

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

გაცნობებთ, რომ ----- -დან ვეწევი ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებისა).

არ მაქვს მონიჭებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი

(უჯრა აღნიშნეთ „X“ ნიშნით)

ბაზრობის ტერიტორიის მისამართი	ბაზრობის ტერიტორიის ფართობი (კვ.მ.)	ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო კოდი	სტაციონარული სავაჭრო ობიექტების რაოდენობა	არასტაციონარული სავაჭრო ადგილების რაოდენობა

განმცხადებლის ხელმოწერა -----





დანართი №VII<sup>3</sup>-02

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური

ბაზრობის ორგანიზატორის

სერტიფიკატი №

სერტიფიკატით დასტურდება, რომ

-----  
(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი და გვარი)



საიდენტიფიკაციო ნომერი

მიენიჭა ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსი, ----- .  
(ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო კოდი და მისამართი)

-----  
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

-----  
(სერტიფიკატის გაცემის თარიღი)

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა / /





**ნაწილი II**

გაცნობებთ, რომ:

- შემცირდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული იჯარით გაცემული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის რაოდენობა.
- გაიზარდა ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული იჯარით გაცემული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის რაოდენობა.

გთხოვთ, შესაბამისი მონაცემები ასახოთ ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების რეესტრში.

ბაზრობის ტერიტორიის მისამართი	ბაზრობის ტერიტორიის საკადასტრო კოდი	ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი (პირადი ნომერი)	სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის ნომერი	იჯარით გაცემის თარიღი	იჯარის შეწყვეტის თარიღი	სსა-ს სარეგისტრაციო ბარათის ნომერი
2	3	4	5	6	7	8	9

გადასახადის გადამხდელის ხელმოწერა	
ხელმოწერის თარიღი	

**შენიშვნა:**

განცხადების I ნაწილი ივსება ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემისას, ხოლო II ნაწილი – ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული იჯარით გაცემული სავაჭრო ობიექტის/სავაჭრო ადგილის რაოდენობის დამატებისას/შემცირებისას.

სტაციონარული სავაჭრო ობიექტის იჯარით გაცემისას სსა-ს სარეგისტრაციო ბარათის ნომერი არ მიეთითება.

საჭირო უჯრა აღინიშნება „X“ ნიშნით.



# auqci oni

## საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგი

---

**11.07.2018**

**2018** წლის **11** ივლისს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა **10 000 000** აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა **2.4405** შეადგინა.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

---

**11.07.2018**

**2018** წლის **11** ივლისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე **40 000 000** ლარის ნომინალური ღირებულების **2-წლიანი** ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა **70 000 000** ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი **7.450** პროცენტით, მაქსიმალური **7.470** პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - **7.465** პროცენტით განისაზღვრა.



კუპონურმა საპროცენტო განაკვეთმა **7.500** პროცენტი შეადგინა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

**11.07.2018**

**2018** წლის **11** ივლისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე **20 000 000** ლარის ნომინალური ღირებულების **182**-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა **41 000 000** ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი **7.320** პროცენტით, მაქსიმალური **7.380** პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი **7.362** პროცენტით განისაზღვრა.







# ღიზინი ჰონიბიხაფია

- » ეტიკეტი
- » ბუკლეტი
- » კლაკეტი
- » შესაფუთი პაკეტი
- » ნიბეტი